მნიშვნელოვანი მოვლენის 100 წელი

26 მაისს 102 წელი სრულდება საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენიდან. 1918 წლის 26 მაისს მიღებულ „საქართველოს დამოუკიდებლობის აქტში“ ჩაიწერა: „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა ესწრაფვის ყოველ ხალხთან და განსაკუთრებით მეზობელ ერებთან მეგობრული განწყობილობა იქონიოს“. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა მეზობელ სახელმწიფოსთან - საბჭოთა რუსეთთან მშვიდობიანი ურთიერთობის დამყარებას. ეს არც ისე ადვილი აღმოჩნდა... საქართველომ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენიდან მხოლოდ ორი წლის შემდეგ შეძლო რუსეთთან სამშვიდობო ხელშეკრულების დადება. 7 მაისს ამ ხელშეკრულების დადებიდან 100 წელი შესრულდა. ამასთან დაკავშირებით გთავაზობთ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის პროფესორის ვახტანგ გურულის წერილს „საქართველო -რუსეთის მოსკოვის 1920 წლის 7 მაისის სამშვიდობო ხელშეკრულება“.

***

საქართველო-რუსეთის მოსკოვის 1920 წლის 7 მაისის სამშვიდობო ხელშეკრულება

1920 წლის 7 მაისს მოსკოვში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასა და რუსეთის სოციალისტურ ფედერაციულ საბჭოთა რესპუბლიკას შორის დაიდო ხელშეკრულება.

საქართველო-რუსეთის ხელშეკრულების როგორც ზოგადი, ისე ცალკეული მუხლების შეფასება ხელშეკრულების დადებისთანავე, 1920 წლის მაისიდან, დაიწყო. პოლიტიკოსთა შორის გამოიკვეთა ორი რადიკალურად განსხვავებული შეფასება – დადებითი და უარყოფითი. მოგვიანებით პოლიტიკოსების შეფასებები ისტორიოგრაფიაში გადავიდა და ისტორიკოსებიც ორ ბანაკად გაიყვნენ. დღემდე ვითარება არ შეცვლილა. ამასთან ერთად, უნ-და აღინიშნოს, რომ 1920 წლიდან დაწყებული პოლიტიკოსთა და ისტორიკოსთა მიერ საქართველო-რუსეთის ხელშეკრულების შეფასებისას გამოიკვეთა კიდევ ერთი მიმდინარეობა, რომელიც ცდილობდა, ხელშეკრულება ან მხოლოდ დადებითად ან მხოლოდ უარყოფითად არ შეეფასებინა. ამ მიმდინარეობის წარმომადგენლები ყურადღებას ამახვილებდნენ ხელშეკრულების როგორც დადებით, ისე უარყოფით მხარეებზე. ვფიქრობთ, ასეთი შეფასება გაცილებით ობიექტური და მისაღებია. პოლიტიკოსთა და ისტორიკოსთა არგუმენტები 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების უარყოფითად შეფასებისათვის ასეთია: 1) 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას არ უნდა დაედო იმის გამო, რომ საბჭოთა რუსეთი საქართველოს დასაპყრობად ემზადებოდა; 2) ხელშეკრულებამ საქართველოს საფრთხე თავიდან ვერ ააცილა – რუსეთმა საქართველო მაინც დაიპყრო; 3) ხელშეკრულება რუსეთს საქართველოს დაპყრობაში დაეხმარა, რადგანაც მან დააკანონა ჩვენში რუსეთის მეხუთე კოლონა; 4) ხელშეკრულებამ ხელი ვერ შეუწყო საქართველოს საერთაშორისო აღიარებას და ვერ განამტკიცა ქვეყნის მდგომარეობა; 5) ხელშეკრულებაში იყო ისეთი მუხლები, რომლებიც ლახავდა საქართველოს სახელმწიფოებრივ სუვერენიტეტს. წამოყენებული იქნა კიდევ სხვა არგუმენტები (ქართული დიპლომატიის გულუბრყვილობა, დიპლომატების მიერ ნებით თუ უნებლიეთ ჩადენილი

ღალატი და ა. შ.), რომლებიც ისტორიის გაყალბებისათვის საჭირო ემოციურ ფონს ქმნის და კარგ სამ-სახურს უწევდა და უწევს ისტორიის ფალსიფიკატორებს.

საქართველო-რუსეთის ხელშეკრულება მომზადდა და დაიდო ურთულეს სამხედრო-პოლიტიკურ ვითარებაში. საქართველოს დამოუკიდებლობის საერთაშორისო აღიარებისათვის ბრძოლაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა საბჭოთა რუსეთის პოზიციას. 1918 წლის 26 მაისს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას საბჭოთა რუსეთი აშკარად მტრულად შეხვდა. უმძიმეს სამოქალაქო ომში ჩაბმულ რუსეთს იმხანად არ შეეძლო საქართველოს წინააღმდეგ სამხედრო ან დიპლომატიური სანქციები გამოეყენებინა. ამას, გარკვეულწილად, უნდა გაეადვილებინა საქართველოს დამოუკიდებლობის საერთაშო-რისო აღიარება. მიუხედავად ამისა, ქართული დიპლომატიის მცდელობას წარმატება არ მოჰყოლია. 1918 წლის 11 ნოემბერს გერმანია პირველ მსოფლიო ომში დამარცხდა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა მოკავშირის გარეშე დარჩა. ამიერიდან საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარება უკვე ომში გამარჯვებულ ანტანტაზე იყო დამოკიდებული. ანტანტაში წამყვან როლს ინგლისი ასრულებდა, ინგლისის მხრიდან კეთილგანწყობის იმედი კი პროგერმანულ ორიენტაციაზე მდგომ საქართველოს არ უნდა ჰქონოდა.

1918-1920 წლებში, სამოქალაქო ომის პერიოდში, ჩრდილოეთ კავკასიაში საბჭოთა რუსეთის იურისდიქცია შეწყდა. ამ რეგიონებს დიდი ხნით დაეპატრონა მოხალისეთა არმია (სარდალი გენერალი ანტონ დენიკინი). 1920 გაზაფხულისათვის წითელმა არმიამ მოხალისეთა არმია დაამარცხა. არმიის ნარჩენებმა ყირიმის ნახე-ვარკუნძულს შეაფარეს თავი. ჩრდილოეთ კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების აღდგენამ და სამხრეთ კავკასიის (ამიერკავკასიის) საზღვრებთან წითელი არმიის მოახლოებამ კარდინალურად შეცვალა ანტანტის პოლიტიკა. ანტანტის ქვეყნები მოხალისეთა არმიის საბოლოო დამარცხებას აღარც კი დაელოდნენ და 1920 წლის 12 იანვარს დე-ფაქტო ცნეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა. ინგლისი სასწრაფოდ შეუდგა ბაქო-ბათუმის ნავთობსადენის დაცვის შესაძლო ვარიანტების დამუშავებას იმ შემთხვევისათვის, თუ სამხრეთ კავკასიაში საბჭოთა რუსეთი შეიჭრებოდა. ანტანტის პოლიტიკის შეცვლა წინასწარვე იგრძნო საბჭოთა რუსეთის დიპლომატიამ. რუსეთმაც დიპლომატიურ მანევრს მიმართა. ჯერ კიდევ ანტანტის მიერ საქართველოს დე-ფაქტო ცნობამდე, 1920 წლის 6 იანვარს, საბჭოთა რუსეთმა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას მოხალისეთა არმიის წინააღმდეგ სამხედრო ხელშეკრულების დადება შესთავაზა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ ნეიტრალიტეტის მომიზეზებით სამხედრო ხელშეკრულების დადებაზე უარი განაცხადა, თუმცა რუსეთთან პოლიტიკური ურთიერთობის მოგვარების მიზნით მოლაპარაკების დაწყება მიზანშეწონილად მიიჩნია.

ინგლისის მზადებას ბაქო-ბათუმის ნავთობსადენის დასაცავად პრაქტიკული შედეგები არ მოჰყოლია. საბჭოთა რუსეთმა კი არ დააყოვნა და ოსმალეთთან წინასწარი შეთანხმების შემდეგ 1920 წლის 28 აპრილს წითელმა არმიამ ბაქო დაიკავა. აზერბაიჯანის დამოუკიდებელმა სახელმწიფომ არსებობა შეწყვიტა. ეს ანტანტის პოლიტიკის სერიოზულ მარცხს მოასწავებდა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა დარწმუნდა, რომ ანტანტის დაპირების იმედად დარჩენა სახიფათო იყო. აუცილებელი გახდა საბ-ჭოთა რუსეთთან პოლიტიკური ურთიერთობის მოგვარება, რასაც, პირველ რიგში, რუსეთის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარება უნდა მოჰყოლოდა. ასე მივიდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა საბჭოთა რუსეთთან ხელშეკრულების დადების აუცილებლობამდე.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა საბჭოთა რუსეთთან მოლაპარაკებას რომ იწყებდა, ორი მიზნის მიღწევას ცდილობდა: პირველი. თუ სამხრეთ კავკასიაში ანტანტის პოზიციები შესუსტდებოდა, საქართველოს პროდასავლური ორიენტაციით გაღიზიანებულ რუსეთთან ჩვენს ქვეყანას ურთიერთობის მოგვარება აღარ გაუჭირდებოდა და სამხედრო დაპირისპირების (ომის) თავიდან აცილებასაც შეძლებდა; მეორე. თუ ამ ხელშეკრულებით საბჭოთა რუსეთი საქართველოს დამოუკიდებლობას ცნობდა, ამას გადამწყვეტი მნიშ-ვნელობა ექნებოდა მსოფლიოს ქვეყნების მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დე-იურე აღიარე-ბისათვის.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, საქართველო-რუსეთის ხელშეკრულების დადება განაპირობა კიდევ ერთმა ფაქტორმა. პარიზის კონფერენციაზე (გაიხსნა 1919 წლის იანვარში) კონფერენციის მუშაობის დაწყებიდან ერთი წლის განმავლობაში საქართველოს დამოუკიდებლობის დე-იურე აღიარება არ შედგა. ანტანტის ქვეყნებმა (ინგლისმა, საფრანგეთმა) საქართველოს დელეგაციას პირდაპირ განუცხადეს, რომ საქართველოს დე-იურე ცნობა შესაძლებელი გახდებოდა მას შემდეგ, რაც საბჭოთა რუსეთი დე-იურე ცნობდა საქართვე-ლოს დამოუკიდებლობას. საქართველოს დელეგაციას ასევე განუცხადეს, რომ პარიზის კონფერენციას შეეძლო საქართველოს მხოლოდ დე-ფაქტო ცნობა. ამრიგად, საბჭოთა რუსეთთან მოლაპარაკებაზე საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას უბიძგა ორმა გარემოებამ: 1) 1920 წლის გაზაფხულზე საბჭოთა რუსეთის გამარჯვებამ მოხალისეთა არმიაზე, წითელი არმიის მოახლოებამ საქართველოს საზღვრებთან; 2) საბჭოთა რუსეთთან ურთიერთობის მოგვარების თაობაზე პარიზის კონფერენციის მიერ საქართველოსთვის მიცემულმა რჩევამ. გამომდინარე ზემოთ თქმულიდან, მცდარია მოსაზრება იმის თაობაზე, რომ თითქოს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა საბჭოთა რუსეთთან ხელშეკრულების დადებით ომის თავიდან აცილებას ესწრაფოდა. საქართველოს მთავრობაში კარგად ესმოდათ, რომ ხელშეკრულება საქართველოს რუსეთის აგრესიისაგან ვერ დაიცავდა. ისტორიკოსები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ საქართველოს რუსეთთან ხელშეკრულება არ უნდა დაედო, უგულებელყოფენ პირველი მსოფლიო ომის ბოლო წელსა და რუსეთში სამოქალაქო ომის პერიოდში (1918 წლის გაზაფხული – 1920 წლის დასასრული) შექმნილ ურთულეს, არაპროგნოზირებად სამხედრო-პოლიტიკურ ვითარებას. საბჭოთა რუსეთს ველიკოდერჟავული მისწრაფებანი მხოლოდ საქართველოს მიმართ არ გააჩნდა. რუსეთის გეგმებში ესტონეთის, ლიტვის, ლატვიისა და ფინეთის დაპყრობაც შედიოდა. საქართველოსაგან განსხვავებით, ამ ქვეყნების დაცვა ევროპის (ანტანტის) სასიცოცხლო ისნტერესებში შედიოდა. Eეს კარგად იცოდნენ ლიტვაში, ლატვიაში, ესტონეთსა და ფინეთში. Mმიუხედავად ამისა, თავიანთი ანტირუსული განწყობილებით ცნობილ ამ ქვეყნების პოლიტიკურმა ლიდერებმა უარი ვერ თქვეს საბჭოთა რუსეთთან ხელშეკრულების დადებაზე. 1920 წლის 2 თებერვალს (ე. ი. საქართველო-რუსეთის ხელშეკრულების დადებამდე სამი თვით ადრე) დაიდო ესტონეთ-რუსეთის ტარტუს ხელშეკრულება; 1920 წლის 12 ივლისს (ე. ი. საქართველო-რუსეთის ხელშეკრულების დადებიდან ორი თვის შემდეგ) გაფორმდა ლიტვა-რუსეთის მოსკოვის ხელშეკრულება; 1920 წლის 11 აგვისტოს (ე. ი. საქართველო-რუსეთის ხელშეკრულების დადებიდან სამი თვის შემდეგ) ხელი მოეწერა Lლატვია-რუსეთის რიგის ხელშეკრულებას; 1920 წლის 14 ოქტომბერს (ე. ი. საქართველო-რუსეთის ხელშეკრულების დადებიდან ხუთი თვის შემდეგ) დაიდო ფინეთ-რუსეთის ტარტუს ხელშეკრულება. Bბუნებრივად ისმის კითხვა: ეს იყო შემთხვევითობა, თუ კანონზომიერება? თუ გავით-ვალისწინებთ იმ პერიოდის ევროპისა (ანტანტისა) და საბჭოთა რუსეთის ურთიერთობას, რუსეთთან დამოკიდებულებაში პარიზის კონფერენციის მიერ შემუშავებულ სტრატეგიას,

საბჭოთა რუსეთის გამარჯვებას სამოქალაქო ომის სხვადასხვა ფრონტზე (გენერალ ანტონ დენიკინისა და გენერალ პიოტრ ვრანგელის მოხალისეთა არმიის განადგურებას სამხრეთ რუსეთში, გენერალ ნიკოლაი იუდენიჩის მარცხს პეტ-როგრადთან, ხოლო ადმირალ ალექსანდრ კოლჩაკის ჯარების განადგურებას ვოლგისპირეთსა და ციმბირში), ესტონეთის, ლიტვის, ლატვიისა და ფინეთის მიერ საბჭოთა რუსეთთან დადებული ხელშეკრულებები იყო სამხე-დრო-პოლიტიკური ვითარებით ნაკარნახევი აუცილებლობა. ამ აუცილებლობას ვერ გაექცნენ ევროპის (ანტანტის) სასიცოცხლო ინტერესების სფეროში შემავალი ესტონეთი, ლიტვა, ლატვია და ფინეთი. მაშ, როგორღა გაექცეოდა ამ აუცილებლობას სამხრეთ კავკასიაში საბჭოთა რუსეთის უზარმაზარი არმიის პირისპირ მარტო დარჩენილი საქართველო? მით უფრო, რომ საქართველოს სამხრეთ-დასავლეთი მეზობელი – ოსმალეთი სულ უფრო აღრმავებდა პოლიტიკურ და სამხედრო თანამშრომლობას საბჭოთა რუსეთთან.

1920 წლის გაზაფხულისათვის საქართველოს მდგომარეობა იმაზე გაცილებით მძიმე იყო, ვიდრე ამას ზოგიერთი ისტორიკოსი წარმოადგენს. საბჭოთა რუსეთის პოლიტიკური ხელმძღვანელობის ნაწილი მხარს უჭერდა აზერბაიჯანის შემდეგ საქართველოს დაპყრობას. მიუხედავად ამისა, ვ. ლენინმა ჩათვალა, რომ შექმნილ ვითარებაში ომი საქართველოსთან სახიფათო იქნებოდა. არც საგარეო და არც საშინაო ვითარება ომისათვის ხელსაყრელი არ იყო. ომს საქართველოს წინააღმდეგ შეიძლებოდა ანტანტასთან და, კერძოდ, ინგლისთან ურ-თიერთობის გამწვავება მოჰყოლოდა. თუმცა, გამორიცხული არც ომის დაწყება იყო. მოხალისეთა არმიის დამარცხების მიუხედავად, სამოქალაქო ომი რუსეთში კვლავ გრძელდებოდა. 1920 წლის მარტში სამხრეთ რუსეთში დარჩენილ მოხალისეთა არმიას სათავეში ჩაუდგა გენერალი პეტრე ვრანგელი. წითელმა არმიამ ვრანგელის არმიის ყირიმის ნახევარკუნძულზე შეკავება ვერ შეძლო. ვრანგელის პირველმა წარმატებებმა საბჭოთა წყობილებას სამხრეთ რუსეთში კვლავ სერიოზული საფრთხე შეუქმნა. დაძაბული ვითარებით ისარგებლა პოლონეთმა. 1920 წლის 17 აპრილს პოლონეთის არმიამ კიევზე შეტევა წამოიწყო. პოლონელებთან ერთად საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ომში ჩაება უკრაინის დირექტორიის არმია სიმონ პეტლურას სარდლო-ბით. უკრაინაში განლაგებული წითელი არმიის ნაწილები მდ. დნეპრისაკენ იხევდნენ. 1920 წლის 6 მაისს პოლონელებმა კიევი დაიკავეს და ბრძოლები დნეპრის მარცხენა ნაპირზე გადაიტანეს. საბჭოთა რუსეთს საბოლოოდ პოლონეთის არმიის დამარცხება არ გაუჭირდებოდა, მაგრამ მოსკოვს აშინებდა პოლო-ნეთისადმი ანტანტის აქტიური სამხედრო-პოლიტიკური მხარდაჭერა, რომლის მასშტაბების ამოცნობა იმხანად შეუძლებელი იყო. ასეთ ვითარებაში რუსეთი იძულებული გახდა, საქართველოსთან მოლაპარაკებას დასთანხ-მებოდა და დროებით უარი ეთქვა სამხრეთ კავკასიაში დაპყრობითი ომის გაგრძელებაზე.

საქართველოსა და რუსეთს შორის მიღწეული შეთანხმების საფუძველზე ორ ქვეყანას შორის მო-ლაპარაკებები მოსკოვში დაიწყო. საქართველოს სახელით მოლაპარაკებაში მონაწილეობდა დამფუძნებელი კრების წევრი გრიგოლ ურატაძე, ხოლო რუსეთის სახელით – საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის, გიორგი ჩიჩ-ერინის, მოადგილე ლევ კარახანი (კარახანიანი). გრიგოლ ურატაძე მოსკოვში 1920 წლის აპრილის ბოლოს ჩავიდა და წინასწარი კონსულტაციების შემდეგ 1920 წლის 28 აპრილს ოფიციალური მოლაპარაკებაც დაიწყო. 6 მაისს მოლაპარაკება დამთავრდა, ხოლო 7 მაისს გრიგოლ ურატაძემ და ლევ კარახანმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას.

საბჭოთა რუსეთის მთავრობამ მოლაპარაკების დაწყების წინ საქართველოზე ზეგავლენის მოხდენის მიზნით საგანგებო ღონისძიებები დაგეგმა. 1920 წლის 1-2 მაისის ღამით მოსკოვიდან მიღებული მითითების თანახმად, ქართველი ბოლშევიკები თავს

დაესხნენ თბილისის იუნკერთა სასწავლებელს. 2 მაისს აზერბაიჯანში დაბანაკებულმა რუსეთის XI წითელი არმიის ნაწილებმა საზღვარი გადმოლახეს და თბი-ლისისაკენ დაიძრნენ. 1920 წლის 2 მაისს დაწყებულმა საომარმა ოპერაციებმა სერიოზულად დაძაბა საქართველო-რუსეთის ურთიერთობა. მალე რუსეთმა საბრძოლო მოქმედებები შეწყვიტა და წითელი არმიის ნაწილები კვლავ აზერბაიჯანის ტერიტორიაზე დააბრუნა.

საქართველო-რუსეთის მოლაპარაკება მოსკოვში დაიწყო იმ დროს, როცა სამხრეთ კავკასიაში დიდი ქვეყნების (ინგლისის, ოსმალეთის, რუსეთის) ინტერესები გამიჯნული არ იყო. ანტანტასა და პირველ მსოფლიო ომში დამარცხებულ ოსმალეთს შორის დადებული მუდროსის ზავით (1918 წლის ოქტომბერი) სამხრეთ კავკასია ინგლისის საოკუპაციო ზონად გამოცხადდა. საქართველოს ტერიტორიაზე ინგლისის ჯარები 1918 წლის დეკემბრიდან განლაგდნენ და იმთავითვე აქტიურად დაიწყეს ჩარევა როგორც საქართველოს, ისე სომხეთისა და აზერბაი-ჯანის საშინაო საქმეებში. მოხალისეთა არმიის დამარცხების შემდეგ რუსეთმა არად ჩააგდო მუდროსის ზავის პირობები და 1920 წლის აპრილის ბოლოს აზერბაიჯანი დაიპყრო. რუსეთის შეჭრას აზერბაიჯანში წინ არ აღუდგა მუდროსის ზავით უკმაყოფილო ოსმალეთი. აზერბაიჯანის დათმობის სანაცვლოდ ოსმალეთმა რუსეთისაგან ანტანტის წინააღმდეგ მოსალოდნელ ომში თანადგომის გარანტია მიიღო. გამორიცხული არ იყო, რომ ანტანტის წინააღმდეგ მხარდაჭერის სანაცვლოდ ოსმალეთს რუსეთისათვის საქართველოც დაეთმო.

საქართველო-რუსეთის 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება შედგება პრეამბულისა და თექვსმეტი მუხ-ლისაგან. ხელშეკრულებაზე ხელმოწერის დღესვე, 1920 წლის 7 მაისს, გრიგოლ ურატაძემ და ლევ კარახანმა ხელი მოაწერეს დოკუმენტს – "რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულების განსაკუთრებული საიდუმლო დამატება", რომელიც ორი მუხლისაგან შედგებოდა. რამდენიმე დღის შემდეგ, 1920 წლის 12 მაისს, ხელმოწერილი იქნა კიდევ ერთი დოკუმენტი – "რუსეთ-საქართველოს 1920 წლის 7 მაისის სამშვიდობო ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმება", რომელიც პრეამბულისა და სამი მუხლისაგან შედგებოდა. ორივე დოკუმენტი 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად იქნა გამოცხადებული. ამრიგად, 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება ორივე დამატებასთან ერთად ოცდაერთი მუხლისაგან შედგება. სამივე დოკუმენტს გ. ურატაძემ და ლ. კარახანმა ხელი ცალ-ცალკე მოაწერეს.

საქართველო-რუსეთის ხელშეკრულების პირველი მუხლი უაღრესად მნიშვნელოვანი იყო საქართველოს დემო-კრატიული რესპუბლიკის საერთაშორისო აღიარების თვალსაზრისით. ხელშეკრულებაში აღნიშნულია: "რუსეთი უსიტყვოდ ცნობს საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობასა და თვითმყოფადობას და ნე-ბაყოფლობით ამბობს უარს ყველა სუვერენულ უფლებაზე, რომელიც კი ქართველი ხალხისა და ქართული მიწის მიმართ გააჩნდა რუსეთს." რა შეფარული მიზნებიც უნდა ჰქონოდა ხელშეკრულების დადების მო-მენტში საბჭოთა რუსეთს, ყოველივე იმის აღიარება, რაც პირველ მუხლში ჩაიწერა, მაინც ქართული დიპლო-მატიის დიდ გამარჯვებად უნდა მივიჩნიოთ. ქართული დიპლომატიის უდავო წარმატებად აღიქმება ასევე ხელშეკრულების მეორე მუხლიც, რომელშიც ვკითხულობთ: "რუსეთი ვალდებულებას იღებს უარი თქვას საქართველოს საშინაო საქმეებში ნებისმიერი ფორმით ჩარევაზე." 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების პირველ და მეორე მუხლს ამ ხელშეკრულებაზე "განაწყენებული" ისტორიკოსები ან გვერდს უვლიან, ან სასხვათაშორისოდ მოიხსენიებენ.

საქართველო-რუსეთის მოლაპარაკების პროცესში უმნიშვნელოვანესი იყო საკითხი: რომელ საზღვრებში ცნობდა საბჭოთა რუსეთი საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას?

შემუშავებული იქნა ფორმულა: საბ-ჭოთა რუსეთი საქართველოს ცნობდა ყოფილი თბილისისა და ქუთაისის გუბერნიების ფარგლებში. Eეს ფორმულა საქართველოსათვის მისაღები იყო, თუ გუბერნიების საზღვრებად მიჩნეული იქნებოდა 1904 წლამდე არსებული საზღვრები. 1904 წლამდე თბილისის გუბერნიაში შედიოდა ზაქათალის ოკრუგი (ჭარ-ბელაქანი – საინგ-ილო), ხოლო ქუთაისის გუბერნიაში – სოხუმის ოკრუგი (აფხაზეთის სამთავროს ისტორიული ტერიტორიის უდიდესი ნაწილი) და ბათუმის ოლქი (აჭარა-ართვინი). 1904 წელს სოხუმის ოკრუგის (აფხაზეთის) ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი (ე. წ. "გაგრის სექტორი") შავი ზღვის გუბერნიას გადასცეს. ცხადია, რუსეთს ხელს აძლევდა ქუთაისის გუბერნია 1904 წელს დადგენილ საზღვრებში განეხილა. ქართულმა დელეგაციამ ეს პრინციპული საკითხი არ დათმო. რუსეთმა უკან დაიხია. სოხუმის ოკრუგი (აფხაზეთი) მთლიანად საქართველოს საზღვრებში დარჩა. სახ-ელმწიფო საზღვარი რუსეთსა და საქართველოს შორის ხელშეკრულების მესამე მუხლის პირველი პარაგრაფით ასე განისაზღვრა: "საქართველოსა და რუსეთს შორის სახელმწიფო სასზღვარი გადის შავი ზღვიდან მდინარე ფსოუზე ახახჩას მთამდე, ახახჩას მთაზე და აგაპეტას მთაზე, ყოფილი შავი ზღვის, ქუთაისისა და თბილისის გუბერნიების ჩრდილოეთ საზღვარზე ზაქათალის ოკრუგამდე, ზაქათალის ოკრუ-გის აღმოსავლეთ საზღვარზე სომხეთის საზღვრამდე." როგორც ვხედავთ, ხელშეკრულების მესამე მუხლის პირველი პარაგრაფის ძალით ზაქათალის ოკრუგი (ჭარ-ბელაქანი – საინგილო) საქართველოს საზღვრებში რჩებოდა. საბჭოთა რუსეთის მიერ სოხუმის ოკრუგისა (აფხაზეთისა) და ზაქათალის ოკრუგის (ჭარ-ბელაქანი – საინგილო) საქართველოს ტერიტორიად აღიარება ქართული დიპლომატიის დიდ გამარჯვებად უნდა მივიჩნიოთ.

საქართველოსათვის ძალზე ხელსაყრელი იყო ხელშეკრულების მეოთხე მუხლი, რომლის პირველი პუნქტი იუ-წყებოპდა: "რუსეთი ვალდებულებას იღებს, საქართველოს სახელმწიფოს შემადგენელ ნაწილად ცნოს ამ ხელშეკრულების III მუხლის I პარაგრაფით საქართველოსათვის შავი ზღვის გუბერნიის ტერიტორიის მი-კუთვნების გარდა, რუსეთის ყოფილი იმპერიის გუბერნიები და ოლქები: თბილისის გუბერნია, ქუთაისის გუბერნია და ბათუმის ოლქი ამ გუბერნიებისა და ოლქის ყველა მაზრითა და ოკრუგით, ასევე ზაქა-თალისა და სოხუმის ოკრუგები."Aამრიგად, ძირძველი ქართული ტერიტორია, ჭარ-ბელაქანი (საინგილო), იგივე ზაქათალის ოკრუგი, საქართველოს კუთვნილ ტერიტორიად ცხადდებოდა, რასაც საბჭოთა აზერბაიჯანის მხრიდან სასტიკი პროტესტი მოჰყვა.

არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო მეოთხე მუხლის მეორე პარაგრაფიც, რომელიც სამხრეთ კავკასიის ტერ-იტორიის ხარჯზე საქართველოს ტერიტორიის გაზრდის ფორმალურ შესაძლებლობას იძლეოდა: «მომავალში, საქართველოსა და სხვა სახელმწიფოებს შორის, გარდა რუსეთისა ურთიერთობის გარკვევის კვალობაზე, ამ სახელმწიფოებსა და საქართველოს შორის არსებული იმ საზღვრების გარდა, რომელიც ამ ხელშეკრულების III მუხლშია აღწერილი, რუსეთი მზადყოფნას გამოთქვამს საქართველოსა და ამ სახელმწიფოებს შორის დადებული ხელშეკრულებების ძალით საქართველოს შემადგენლობაში შესულად ცნოს ყოფილი კავკასიის სამეფისნაცვლოს ესა თუ ის ნაწილი."

ძალზე არახელსაყრელი, მძიმე იყო საქართველოსათვის ხელშეკრულების მეხუთე მუხლი, რომელიც ათი პუნ-ქტისაგან შედგებოდა. მეხუთე მუხლი საქართველოს ავალდებულებდა: 1) საქართველოს მთავრობას დაუყ-ოვნებლივ უნდა დაეპატიმრებინა და საკონცენტრაციო ბანაკებში მოეთავსებინა ხელშეკრულების დადების მომენტისათვის საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი საბჭოთა რუსეთის მთავრობისადმი მტრულად განწყობილი და რუსეთში არსებული ხელისუფლების დამხობის მოსურნე სამხედრო და

სამხედრო-საზღვაო ნაწილები, ასევე იმ პოლიტიკურ და სამხედრო ძალთა წარმომადგენლები, რომლებიც თავს აცხადებდნენ რუსეთის მთავრობად, ან რუსეთის რომელიმე ნაწილის მთავრობად; 2) საქართველოს მთავრობას დაუყოვნებლივ უნდა განეიარაღებინა საქართველოს ნავსადგურებში მყოფი საბჭოთა რუსეთის მთავრობისადმი მტრულად განწყობილი სამხედრო და პოლიტიკურ ძალთა კუთვნილი გემები, ხოლო ეკიპაჟის წევრები საკონცენტრაციო ბანაკებში მოეთავსებინა; 3) საქართველოს მთავრობას დაუყოვნებლივ, ყოველგვარი პირობის გარეშე, უნ-და გადაეცა რუსეთისათვის საქართველოს ტერიტორიაზე განიარაღებულ საბჭოთა რუსეთისადმი მტრულად განწყობილ სამხედრო და პოლიტიკურ ძალთა მთელი ქონება, მათ შორის სამხედრო ქონებაც (სამხედრო გემები, არტილერია, ავიაცია და სხვ.); 4) რუსეთი პირობას დებდა, რომ სიკვდილით არ დასჯიდა საქართველოს მიერ რუსეთისათვის გადაცემულ პირებს; 5) საქართველოს ხელისუფლებას ქვეყნის ტერიტორიიდან უნდა გაეძევებინა ყველა სახის სამხედრო შენაერთი, რომელიც არ შედიოდა ქართული ჯარის შემადგენლობაში; 6) საქართველოს მთავრობას მომავალშიც არ უნდა დაეშვა თავისი ქვეყნის ტერიტორიაზე ისეთი სამხედრო შენაერთების არსებობა, რომლებიც არ შედიოდნენ ქართულ ჯარში; 7) საქართველოს მთავრობას ქართულ ჯარში არ უნდა მიე-ღო, მათ შორის მოხალისედაც, საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ და საბჭოთა რუსეთისადმი მტრულად განწყობილ სამხედრო შენაერთებში მომსახურე პირები, რადგან ისინი ეროვნებით ქართველები არ იყვნენ; 8) საქართველოს მთავრობას თავისი ქვეყნის ტერიტორიაზე არ უნდა გაეჩერებინა ისეთი ძალები, რომლებიც მიზნად ისახავდნენ საბჭოთა რუსეთში არსებული წყობილების დამხობას. ამასთან ერთად, ამ ძალებისათვის არ უნდა მიეცა უფლება, საქართველოს ტერიტორია გამოეყენებინათ იმ ტვირთის გადასატანად, რომელიც რუსეთთან ომში იქნებოდა გამოყენებული; 9) ის ჯგუფები და პირები, რომლებიც არ შეასრულებდნენ მერვე პუნქტით განსაზღვრულ პირობებს, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას უნდა დაეპატიმრებინა; 10) მეხუთე მუხლის მეხუთე პუნქტის შესრულება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას უნდა დაეწყო დაუყოვნებლივ და რაც შეიძლება მალე დაესრულებინა.

ხელშეკრულების მეხუთე მუხლი ეხებოდა მოხალისეთა არმიას, რომელიც გენერალ პეტრე ვრანგელის სარდლობით 1920 წლის გაზაფხულზე სამხრეთ რუსეთიდან მოსკოვისაკენ მოიწევდა. პეტრე ვრანგელის არმიის სამხედრო გემები საქართველოს მთავრობასთან საიდუმლო შეთანხმებით დროდადრო იყენებდნენ საქართველოს ნავსადგურებს საწვავის, სურსათისა და წყლის მარაგის შესავსებად. მოხალისეთა არმიის ზოგიერთი სამხედრო შენაერთი დროებით განლაგებული იყო საქართველოს ტერიტორიაზე. საბჭოთა რუსეთის დაზვერვას, ცხადია, ყოველივე ამის თაობაზე ცნობები ჰქონდა. 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების მეხ-უთე მუხლი რომ ძალზე მძიმე და დამამცირებელი იყო საქართველოსათვის, ამაზე დღეს არავინ დავობს. მაგრამ საქართველო იძულებული იყო მიეღო იგი. ჩვენ ზემოთ საბჭოთა რუსეთთან ესტონეთის, ლიტვის, ლატ-ვიისა და ფინეთის მიერ 1920 წელს დადებული ხელშეკრულებები ვახსენეთ. რუსეთთან საომარი მოქმედებების შეწყვეტისა და დამოუკიდებლობის აღიარების სანაცვლოდ, ამ ქვეყნებს ბევრ დათ-მობაზე მოუწიათ წასვლა. ჯერ კიდევ რუსეთთან ხელშეკრულებების დადებამდე, 1919 წლის შემოდ-გომაზე, გენერალ ნ. იუდენიჩის არმიის პეტროგრადზე შეტევის დროს, მრვალგზისი თხოვნის მიუხედავად, საბჭოთა რუსეთის მხრიდან მომავალში მოსალოდნელი აგრესიის შიშით თავისი ანტირუსული განწყობილებით ცნობილმა ესტონეთის, ლიტვის, ლატვიისა და ფინეთის პოლიტიკურმა ლიდერებმა გენერალ ნ. იუდენიჩს სამხედრო დახმარებაზე უარი უთხრეს. Gგენერალ ნ. იუდენიჩის არმია დამარცხდა. ბოლშევიკური პეტროგრადი გადარჩა.

1920 წლის 2 თებერვლის ესტონეთ-რუსეთის ხელშეკრულების მეშვიდე მუხლი სიტყვა-სიტყვით ემთხვეოდა საქართველო-რუსეთის 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების მეხუთე მუხლს. 1920 წლის 12 ივლისის ლიტვა-რუსეთის ხელშეკრულებაში თითქმის უცვლელად შევიდა საქართველო-რუსეთის ხელშეკრულების მეხუთე მუხლის რამ-დენიმე პარაგრაფი.

იმ ვალდებულებების სანაცვლოდ, რომლებიც ხელშეკრულების მეხუთე მუხლის ძალით საქართველოს დაეკისრა, რუსეთი მეექვსე მუხლით ვალდებულებას იღებდა: რუსეთს თავის ტერიტორიაზე არ უნდა დაეშვა და არ უნდა გაეჩერებინა არცერთი ჯგუფი და ორგანიზაცია, რომელებიც თავს საქართველოს ან მისი ტერიტორიის ნაწილის მთავრობად აცხადებდნენ. მიუხედავად ამ ხელშეკრულების დადებამდე და დადების შემდეგაც რუსეთი თავის ტერიტორიაზე აჩერებდა, შეიარაღებითა და ფინანსებით ეხმარებოდა აფხაზ და ოს სეპარატისტებს, ქართველ ბოლშევიკებს.

ხელშეკრულების მეათე მუხლი უკვე აშკარად ხელყოფდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სუვერენიტეტს და საქართველოს აყენებდა მეტად მძიმე მდგომარეობაში. კერძოდ, მეათე მუხლი ასეთი შეინაარსისა იყო: საქართველო ვალდებულებას იღებდა, სასჯელისაგან, სასამართლო ან ადმინისტრაციული დევნისაგან გაეთავისუფლებინა ყველა პირი, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის ან კომუნისტური პარტიის სასარგებლოდ საქმიანობისათვის იდევნებოდა. მეათე მუხლს ჰქონდა შენიშვნა: საქართველო ვალდებული იყო, ზემოთხსენებული საქმიანობისათვის მსჯავრდებული ყველა პირი დაუყოვნებლივ გაეთავისუფლებინა.

ეს იმის მაუწყებელი იყო, რომ საბჭოთა რუსეთმა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საშინაო საქმეებში (სამართალწარმოებაში!) ჩარევის უფლება მიიღო.
ხელშეკრულების მეთოთხმეტე მუხლის ძალითç საქართველოსა და რუსეთს შორის უმოკლეს ვადაში უნდა დამყარებულიყო დიპლომატიური და საკონსულო ურთიერთობა.

ხელშეკრულების მეთხუთმეტე მუხლი ითვლისწინებდა ორმხრივი კომისიის შექმნას, რომლის კომპეტენ-ციაში შევიდოდა საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი ყოფილი რუსეთის იმპერიის ცენტრალური ხელისუფლების დაწესებულებების, სასამართლო და ადმინისტრაციული დაწესებულებების არქივების, ასევე სამოქალაქო მდგომარეობის აქტების რუსეთისათვის გადაცემა.

საქართველო-რუსეთის 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება, როგორც მეთექვსმეტე მუხლში იყო აღნიშნუ-ლი, ძალაში შედიოდა ხელმოწერის დღიდან და რატიფიკაციას არ საჭიროებდა.

1920 წლის 7 მაისსვე გრიგოლ ურატაძემ და ლევ კარახანმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულების საიდუმლო დამატებას, რომელიც ორი მუხლისაგან შედგებოდა. საიდუმლო დამატების პირველი მუხლი ფეხქვეშ თელავდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სუვერენიტეტს. პირველი მუხლი ასე იყო ჩამოყალიბებული: საქართველოს მთავრობა ვალდებულებას იღებდა, ეცნო ქვეყნის ტერიტორიაზე მოქმედი კომუნისტური ორგანიზაციების თავისუფალი არსებობისა და მოღვაწეობის უფლება, კერძოდ, კრებების თავისუფლად მოწყობისა და გამო-ცემის უფლება, მათ შორის პერიოდული გამოცემის უფლებაც. საქართველოს მთავრობას არ შეეძლო, ადმინის-ტრაციულ და სასამართლო პასუხისგებაში მიეცა პირი, რომელიც ქვეყნის ტერიტორიაზე კომუნისტური პროგრამის საჯარო პროპაგანდას ეწეოდა. სასამართლო და ადმინისტრაციულ პასუხისგებაში ვერ მიეცემოდა ვერც ორ-განიზაცია, რომლის მოღვაწეობაც კომუნისტურ პროგრამას ემყარებოდა. ყოველივე ეს კი იმას ნიშნავდა, რომ საბჭოთა რუსეთის მეხუთე კოლონა ხელშეუხებლად

ცხადდებოდა და მისი ძირგამომთხრელი საქმი-ანობა ვერ დაისჯებოდა. 1920 წლის 7 მაისის საქართველო-რუსეთის ხელშეკრულების საიდუმლო დამატებაც ხელმოწერის მომენტიდანვე შედიოდა ძალაში და რატიფიკაციას არ ექვემდებარებოდა.

1920 წლის 12 მაისს გრიგოლ ურატაძისა და ლევ კარახანის მიერ ხელმოწერილი დამატებითი შეთანხმება მიზნად ისახავდა საქართველო-აზერბაიჯანის სახელმწიფო საზღვრის დადგენას. დამატებითი შეთანხმების პირველ მუხლში აღნიშნული იყო: სადაო ტერიტორიის სახელმწიფოებრივი კუთვნილების გარკვევის მიზნით რუსეთის, საქართველოსა და აზერბაიჯანის წარმომადგენლებისაგან უნდა შექმნილიყო სამთა კომისია, რომლის თავმჯდომარეც რუსეთის წარმომადგენელი იქნებოდა. ცხადია, შერეული კომისიის მუშაობის პერიოდში საბჭოთა რუსეთი საბჭოთა აზერბაიჯანს დაუჭერდა მხარს და სასაზღვრო ხაზიც აზერბაიჯანის სასარ-გებლოდ დადგინდებოდა. საბჭოთა რუსეთს რომ ასეთი სურვილი არ ჰქონოდა, მაშინ 1920 წლის 12 მაისს დამატებით შეთანხმებას ხელი არც მოეწერებოდა, რადგან ძირითადი ხელშეკრულების მეოთხე მუხლით ზაქათალის ოკრუგი (ჭარ-ბელაქანი – საინგილო) საბჭოთა რუსეთმა საქართველოს ტერიტორიად ცნო და ამ სა-კითხის ხელახალი განხილვა საჭირო აღარ იყო. ასეთი დასკვნის გაკეთების უფლებას გვაძლევს ის, რომ 12 მაისის დამატებითი შეთანხმება აზერბაიჯანის პროტესტის შემდეგ გაფორმდა.

ამრიგად, საქართველო-რუსეთის 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება, 7 მაისის საიდუმლო დამატებითი და 12 მაისის დამატებითი შეთანხმებით არ შეიძლება ერთმნიშვნელოვნად შეფასდეს. ხელშეკრულების შე-ფასებისას უნდა გავითვალისწინოთ ორი მომენტი:

პირველი. საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დე-იურე ცნობა იყო უაღრესად დიდი მნიშვნელობის მოვლენა და ხელს უწყობდა საქართველოს დამოუკიდებლობის საერთაშორისო აღიარებას;

მეორე. ხელშეკრულება საბჭოთა რუსეთს საშუალებას აძლევდა: საქართველოს დემოკრატიულ რესპუ-ბლიკასთან ომის შემთხვევაში აქტიურად გამოეყენებინა მეხუთე კოლონა, რომლის ხელშეუხებლობის გარ-ანტიას ხელშეკრულება იძლეოდა.

საქართველო-რუსეთის 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების დადებიდან ცხრა თვის შემდეგ (1921 წლის 11-12 თებერვლის ღამით) საბჭოთა რუსეთმა ომი დაიწყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ და დაიპყრო იგი. Aამ მოვლენით დავიწყებას არ მისცემია 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულე-ბა. 1921 წელს ემიგრაციაში წასული საქართველოს მთავრობის ერთ-ერთი ძლიერი არგუმენტი, სხვა არგუმენ-ტებთან ერთად, საქართველოს განთავისუფლებისათვის ბრძოლაში იყო ის, რომ საბჭოთა რუსეთმა დაიპყრო მის მიერვე დე-იურე ცნობილი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა. Aამ ბრძოლას შედეგი არ მოჰყოლია, მა-გრამ არა იმიტომ, რომ საქართველოს მთავრობას არგუმენტები არ გააჩნდა, არამედ იმიტომ, რომ საერთაშორისო ასპარეზზე შექმნილი ვითარება (საბჭოთა რუსეთის მიერ ურთიერთობის მოგვარება ინ-გლისთან, საფრანგეთთან, გერმანიასთან, ოსმალეთთან) ხელსაყრელი არ იყო საქართველოს დამოუკიდებლობის აღსადგენად. Gგავიდა ათწლეულები. XX საუკუნის 80-იან წლებში საქართველოში აზვირთებული ეროვნული მოძრაობა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის სამართლიანობას სხვა არგუმენტებთან ერთად ისევ ზემოთ ხსენებული არგუმენტით ასაბუთებდა: 1921 წლის თებერვალ-მარტში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა დაიპყრო საბჭოთა რუსეთმა, იმ ქვეყანამ, რომელმაც 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებით დე-იურე ცნო საქართველოს დამოუკიდებლობა.

1920 წლის 7 მაისის საქართველო-რუსეთის ხელშეკრულების დადებით საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლებამ მომავალ თაობებს დაუტოვა ძლიერი არგუმენტი სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის ბრძოლაში.

ვახტანგ გურული
საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის პროფესორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი.

გამოქვეყნდა გაზეთ “საქართველოს რესპუბლიკაში”, 2020 წლის 4, 7 მაისს.